940/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1940 წ. აპრილის 1 № 4 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

19. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის შესახებ.

20 გზატკეცილებისა და ყამირგზების მშენებლობის და რემონტის საქმეში სოფლის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის წესის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

19. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 15 ივნისის დადგენილებისა „სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 40, მუხ. 301), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს დებულება საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 20 იანვრის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 2, მუხ. 11).

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარს ამხ. ჩხეტიანს გარდაქმნას იუსტიციის სახალხო კომისარიატის აპარატი თანდართული დებულების შესაბამისად ისე, რომ არ გასცილდეს 1940 წლისათვის დამტკიცებული შტატისა და ხელფასის ფონდის ფარგლებს,

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. მარტის 26. № 500.
თბილისი.

დებულება საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის შესახებ.

I. საერთო დებულებანი

1. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის 55 მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატს.

2. საქართველოს სს რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარიატის სათავეში სდგას სახალხო კომისარი.

3. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის 53 მუხლის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს

სსრ კავშირის და საქართველოს სს რესპუბლიკის კანონების, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა, სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისრის ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და შესასრულებლად და ამოწმებს მათს შესრულებას.

4. საქართველოს სს რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარი ნიშნავს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სამმართველოს, განყოფილებებისა და სექტორების უფროსებს, უფროსთა მოადგილეებს და რევიზორებს, მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, ნოტარიუსებს და სასამართლოს აღმასრულებლებს, ამტკიცებს აფხაზეთის და აჭარის ასსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სამმართველოს განყოფილებათა უფროსებს და უფროსების მოადგილეებს.

II. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამგებლობის საგანი.

5. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს ეკისრება:

ა) აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სამმართველოს საქმიანობის ხელმძღვანელობა;

ბ) საქართველოს სს რესპუბლიკის სასამართლოების ორგანიზაცია, კონტროლი სასამართლო ორგანოების მუშაობის მდგომარეობისადმი და ხელმძღვანელი მითითებების მიცემა მათი მუშაობის ორგანიზაციისა და გაუმჯობესების საკითხებზე;

გ) სანოტარო ორგანოების ორგანიზაცია და მათი საქმიანობის ხელმძღვანელობა სანოტარო ორგანოების დებულების შესაბამისად;

დ) ადვოკატურის საქმიანობის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა ადვოკატურის დებულების შესაბამისად;

ე) საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის ორგანოების, სასამართლოს, პროკურატურის, ნოტარიატის, ადვოკატურისა და არბიტრაჟის კადრების მომზადება და გადამზადება;

ვ) მასალების სისტემატიზაცია და მომზადება საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კოდიფიკაციისათვის.

6. ამ დადგენილების მე-5 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატი:

ა) ატარებს აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სამმართველოს საქმიანობის რევიზიას და იძლევა მითითებებს მათი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ;

ბ) შეაჩერებს და გააუქმებს აფხაზეთის და აჭარის ასსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სამმართველოს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე სსრ კავშირის და საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

7. ამ დადგენილების მე-5 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატი:

ა) განიხილავს საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოების განლაგებასა და შტატებს;

ბ) რევიზიების საშუალებით ამოწმებს საქართველოს სსრ სახალო სასამართლოების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს და აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების საქმიანობას და იმას, თუ რამდენად სწორად უფარდებენ ისინი კანონებს სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეთა განხილვის დროს, ამასთან არასწორად გადაწყვეტილ საქმეებს უგზავნის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს განაჩენების, გადაწყვეტილებების და დადგენილებათა გაპროტესტების საკითხის გადასაჭრელად;

გ) შეისწავლის და განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას, სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის წინაშე დააყენებს საკითხებს სასამართლოებისათვის ხელმძღვანელ მითითებათა მიცემის შესახებ სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის დებულებით დადგენილი წესით;

დ) გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სასამართლოების მუშაობის ორგანიზაციისა და გაუმჯობესების შესახებ;

ე) ღებულობს სასამართლოების მუშაკთა მიმართ წახალისების ზომებს და მოსამართლეთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის დებულების საფუძველზე წარდგენებით მიმართავს მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭოებს მოსამართლეებზე დისციპლინარული სასჯელის დადების შესახებ;

ვ) შეიმუშავებს საკითხებს, რომ მოეწყოს და ჩატარდეს საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნები საქართველოს სსრ სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების დებულების შესაბამისად; სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონის 20 მუხლის შესაბამისად, აწყობს სახალხო მოსამართლეთა ახალ არჩევნებს იმ შემთხვევაში, თუ სახალხო მოსამართლე გადადგა მის რწმუნებათა ვადის გასვლამდე;

ზ) ხელმძღვანელობს ამომრჩეველთა წინაშე სახალხო მოსამართლეთა ანგარიშგების მოწყობას;

ი) ხელმძღვანელობს სასამართლოს აღმასრულებელთა მუშაობას;

თ) აწყობს და აწარმოებს სასამართლო სტატისტიკას.

8. ამ დადგენილების მე-5 მუხლის „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ პუნქტების შესაბამისად, საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატი:

ა) განიხილავს საქართველოს სსრ სანოტარო ორგანოების განლაგებასა და შტატებს, აწარმოებს ამ ორგანოების რევიზიას და გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს მათი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ;

ბ) ანხორციელებს კონტროლს ადვოკატურის დებულების სწორად გამოყენებისადმი;

გ) გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების მოწყობის შესახებ;

დ) შეიმუშავებს იურიდიულ მუშაკთა კადრების მომზადებისა და გადამზადების გეგმებს;

ე) ხელმძღვანელობს მისდამი დაქვემდებარებულ იურიდიულ სკოლებსა და კურსებს;

ვ) ანხორციელებს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სისტემის, სასამართლოს, ნოტარიატისა და ადვოკატურის მუშაკთა აღრიცხვას;

ზ) ანაწილებს იმ პირებს, რომლებმაც იურიდიული სკოლები და კურსები დაამთავრეს;

ი) ეწევა მუშაობას, რათა სისტემაში იქნას მოყვანილი და მომზადებული მასალები საქართველოს სსრ მომქმედი კანონების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და მთავრობის დადგენილებათა კოდიფიკაციისათვის;

თ) ხელმძღვანელობს აფხაზეთის და აჭარის ასსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატების მუშაობას იმ მხრივ, რომ სისტემატიზებულ და მომზადებულ იქნას მასალები ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის კოდიფიკაციისათვის;

კ) შეიმუშავებს კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა პროექტებს იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია იუსტიციის ორგანოების მოწყობასთან და საქმიანობასთან.

9. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში იქმნება:

I. სასამართლო დაწესებულებათა განყოფილება, რომელსაც აქვს:

1) სასამართლოების სექტორი,

2) სასამართლო აღმასრულებელთა სექტორი,

3) სტატისტიკის სექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. კადრების განყოფილება, რომელსაც აქვს:

1) კადრების აღრიცხვის სექტორი,

2) კადრების მომზადების სექტორი.

III. საკოდიფიკაციო განყოფილება.

IV. ადვოკატურის განყოფილება.

V. სანოტარო განყოფილება.

VI. სამობილიზაციო განყოფილება.

VII. საიდუმლო-საშიფრო განყოფილება.

VIII. საგეგმო-საფინანსო განყოფილება.

IX. საქმეთა მმართველობა.

X. საკონტროლო-საინსპექტორო ჯგუფი სახალხო კომისართან.

XI. სამდივნო.

XII. არქივი.

10. სასამართლო დაწესებულებათა განყოფილებას ეკისრება:

ა) სახალხო სასამართლოების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების ორგანიზაციის საკითხების შემუშავება (განლაგება, სტრუქტურა, შტატები და სხვ.);

ბ) სახალხო სასამართლოების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს, აფხაზეთის და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების რევიზიების მოხდენა სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს მათ მიერ კანონების სწორად შეფარდების საკითხებზე და მათი საქმიანობის ყველა სხვა საკითხზე (განაჩენების, გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების შემოწმება, საქმეების მომზადება განსახილველად სასამართლო სხდომებზე, სასამართლოებში შემოსულ განცხადებათა და საჩივრების განხილვის ვადების შემოწმება, საქმეების, საჩივრების, ნივთიერ მტკიცებათა და სხვ. აღრიცხვა და შენახვა);

გ) სასამართლოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ ბრძანებათა და ინსტრუქციათა პროექტების შემუშავება;

დ) საკითხების შემუშავება, რომ მოეწყოს და ჩატარდეს სახალხო მოსამართლეთა არჩევნები, სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების დებულების შესაბამისად;

ე) იმის კონტროლი, რომ საქართველოს სსრ სასამართლოებმა დაიცვან კანონით დადგენილი წესი სახალხო მსაჯულთა მოწვევისა სასამართლოში თავიანთ მოვალეობათა შესასრულებლად (რიგითობა, ვადები);

ვ) იმის შემოწმება, რომ სახალხო მოსამართლეებმა შეასრულონ სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების კანონის 29 მუხლი ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშგების შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) სახალხო სასამართლოების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების სასამართლო პრაქტიკის შესწავლა და განზოგადოება;

ი) სასამართლო აღმასრულებელთა მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევა და მათი მუშაობის რევიზია;

თ) სასამართლო სტატისტიკის ორგანიზაცია და წარმოება.

11. კადრების განყოფილებას ეკისრება:

ა) კადრების აღრიცხვა და შესწავლა სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისრის მიერ დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით;

ბ) იურიდიული კადრების მომზადებისა და გადამზადების გეგმების შემუშავება;

გ) წინადადებათა მომზადება საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატისათვის მუშაკთა დანიშვნის საკითხებზე;

დ) ხელმძღვანელობა დაქვემდებარებული იურიდიული სკოლებისა და კურსებისადმი;

ე) იმ პირთა განაწილების გეგმის შემუშავება, რომლებიც ამთავრებენ იურიდიულ სკოლებს, კურსებს, უმაღლეს სასწავლებლებისა და იურიდიული სკოლების კურსდამთავრებულ პირთა განაწილების იმ გეგმის განხორციელება, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ.

12. საკოდიფიკაციო განყოფილაბას ეკისრება:

ა) მასალების სისტემატიზაცია და მომზადება საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და მთავრობის დადგენილებათა კოდიფიკაციისათვის;

ბ) მეთვალყურეობის გაწევა აფხაზეთისა და აჭარის ასსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატების მუშაობისადმი ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციისათვის;

გ) კანონების, ბრძანებულებების, დადგენილებებისა და ინსტრუქციების პროექტების შემუშავება საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისრის დავალებით და დასკვნების მომზადება კანონთა, ბრძანებულებათა, დადგენილებათა და ინსტრუქციათა იმ პროექტების მიხედვით, რომლებიც დასკვნისათვის ეგზავნება საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს.

13. ადვოკატურის განყოფილებას ეკისრება:

ა) საქართველოს სსრ ადვოკატურის საქმიანობის ხელმძღვანელობა ადვოკატურის დებულების შესაბამისად;

ბ) საქართველოს სსრ ადვოკატურის ორგანიზაციისა და საქმიანობის საკითხების შემუშავება;

გ) ადვოკატურის ორგანოების რევიზია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. სანოტარო განყოფილებას ეკისრება:

ა) საქართველოს სსრ სანოტარო ორგანოების ხელმძღვანელობა;

ბ) სანოტარო ორგანოების მუშაობის კონტროლი როგორც აფხაზეთის და აჭარის ასსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატების მეშვეობით, ისე უშუალო რევიზიების გზითაც;

გ) ნოტარიატის ორგანიზაციისა და საქმიანობის საკითხების შემუშავება.

15. საგეგმო-საფინანსო განყოფილებას ეკისრება:

ა) იმ დაწესებულებებისა და სასამართლოების ხარჯთაღრიცხვების შემუშავება და დაფინანსება, რომლებიც საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით ინახება;

ბ) კონტროლი საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული დაწესებულებების, აფხაზეთის და აჭარის ასსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სამმართველოს და საქართველოს სსრ სასამართლოების საფინანსო მუშაობისადმი;

გ) საბუხჰალტერო აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზაცია;

დ) საქართველოს სსრ იუსტიციის საახალხო კომისარიატის დაწესებულებათა დოკუმენტალური რევიზიების განხორციელება მათ მიერ სახსრების სწორად ხარჯვის მხრივ;

ე) კაპიტალური მშენებლობისა და რემონტის გეგმების შესრულება და ამ გეგმების განხორციელების კონტროლი;

ვ) იუსტიციის ორგანოების მომარაგების გეგმების შემუშავება და გამოყოფილი ფონდების განაწილება;

ზ) საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატის სამეურნეო და საფინანსო მუშაობის განხორციელება.

16. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატში იქმნება სახალხო კომისარიატის კოლეგია სახალხო კომისრის (თავმჯდომარე), მისი მოადგილის და სახალხო კომისარიატის რამდენიმე ხელმძღვანელი მუშაკის შემადგენლობით.

კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისრის წარდგენით.

17. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად ტარდება, უწინარეს ყოვლისა განიხილავს პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის საკითხებს, სახალხო კომისარიატის ყველა მნიშვნელოვან ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, მოისმენს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სისტემის ადგილობრივი ორგანოების და სასამართლოს მუშაკთა ანგარიშებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება სახალხო კომისრის ბრძანებათა სახით.

იმ შემთხვევაში, თუ სახალხო კომისარსა და კოლეგიას შორის უთანხმოება წამოიჭრა, სახალხო კომისარი ცხოვრებაში ატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ აცნობებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

ადგილობრივ ორგანოებთან კავშირ-ურთიერთობის დასამყარებლად და გამოცდილების გასაზიარებლად საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისართან იქმნება საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის საბჭო. რომელიც მოიწვევა ორ თვეში ერთხელ და განიხილავს იუსტიციის ორგანოების მუშაობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისრის წარდგენით.

18. იუსტიციის ცენტრალურ და ადგილობრივ მუშაკთა გამოცდილების გამოყენებისა და კრიტიკის და თვითკრიტიკის გაშლის მიზნით, საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარი ყოველთვიურად იწვევს სახალხო კომისარიატის აქტივს.

---

20. გზატკეცილებისა და ყამირ გზების მშენებლობის და რემონტის საქმეში სოფლის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის წესის შესახებ.

იმ მიზნით, რომ მოგვარდეს გზატკეცილებისა და ყამირ გზების მშენებლობის და რემონტის საქმეში სოფლის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის წესი, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სოფლების, ქალაქების და დაბების მოსახლეობა, რომელიც სოფლის მეურნეობას ეწევა, მონაწილეობას იღებს გზატკეცილებისა და ყამირ გზების მშენებლობის და რემონტის საქმეში უფრო ნაკლებად დაძაბულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პერიოდში.

2. კოლმეურნეები საგზაო სამუშაოებში მონაწილეობას იღებენ უშუალო უსასყიდლო პირადი შრომით წელიწადში 6 დღის განმავლობაში.

ერთპიროვნული მეურნეები საგზაო სამუშაოებში მონაწილეობას იღებენ უშუალო უსასყიდლო პირადი შრომით წელიწადში ექვსი დღის განმავლობაში, აგრეთვე უსასყიდლოდ გადასცემენ იმავე ვადით საგზაო ორგანოების განკარგულებაში თავიანთ კუთვნილ ცოცხალ გამწევ ძალას და საჭაპნო-სატრასპორტო საშუალებებს, ინსტრუმენტს და ინვენტარს.

შენიშვნა: მოქალაქეები, რომლებიც საშემოსავლო გადასახადით იბეგრებიან № 3 ცხრილის მიხედვით, შრომითს მონაწილეობას იღებენ მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავიანთი მუშა პირუტყვით, სატრანსპორტო საშუალებებით, ინვენტარითა და ინსტრუმენტით წელიწადში 12 დღის განმავლობაში.

3. კოლმეურნეობათა შრომითი მონაწილეობა საგზაო სამუშაოებში იმით გამოიხატება, რომ ისინი უსასყიდლოდ გადასცემენ წელიწადში ექვსი დღით საგზაო ორგანოებს თავიანთ კუთვნილ ცოცხალ გამწევ ძალას, საჭაპნო-სატრანსპორტო საშუალებებს, სატვირთო ავტომანქანებს, ინსტრუმენტს და ინვენტარს იმ კოლმეურნეებითურთ, რომლებიც მათ მომსახურეობას უწევენ. ამ კოლმეურნეთა მუშაობა მათ ჩაეთვლებათ, როგორც შრომითი ნონაწილეობა საგზაო სამუშაოებში.

4. რჩევა მიეცეს კოლმეურნეობებს, რომ კოლმეურნეობის ყველა წევრი არ ასრულებდეს პირადად საგზაო სამუშაოებს, არამედ კოლმეურნეობებმა გამოჰყონ მუდმივი საგზაო ბრიგადა კოლმეურნეებისაგან, რომლებსაც აქვთ საგზაო სამუშაოების გამოცდილება და მთელი წლის მანძილზე მუშაობენ მთელი კოლმეურნეობის მაგივრად; ბრიგადაში გამოყოფილ კოლმეურნეთა მუშაობა ჩაითვლება საგზაო მშენებლობაში მოცემული კოლმეურნეობის წევრთა შრომითი მონაწილეობის საერთო გეგმაში იმ კოლმეურნეთა ხარჯზე, რომლებიც, მე-2 მუხლის თანახმად, მოვალენი არიან მონაწილეობა მიიღონ საგზაო სამუშაოებში.

კოლმეურნეობამ უნდა უზრუნველჰყოს საგზაო ბრიგადა საჭირო გამწევი ძალით, უბრალო ინვენტარითა და ინსტრუმენტით. საკოლმეურნეო ბრიგადის წევრთა რაოდენობას აწესებს კოლმეურნეობის გამგეობა მშრომელთა დეპუტატების სათანადო ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების საგზაო ორგანოების მონაწილეობით, საგზაო სამუშაოთა მოცულობის მიხედვით, აგრეთვე კოლმეურნეობის იმ წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით, რომლებმაც შრომითი მონაწილეობა უნდა მიიღონ საგზაო სამუშაოებში. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ საგზაო ბრიგადის პერსონალური შემადგენლობა დაამტკიცოს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ.

კოლმეურნეობის მიერ გამოყოფილი ბრიგადები რჩებიან საგზაო სამუშაოებზე მათ მიერ საგზაო სამუშაოთა გეგმის შესრულებამდე.

5. საგზაო სამუშაოებში სავალდებულო შრომითი მონაწილეობისაგან თავისუფლდებიან:

ა) ის პირები, რომლებსაც 18 წელი არ შესრულებიათ;

ბ) 45 წლის და მეტი ასაკის მამაკაცები;

გ) 40 წლის და მეტი ასაკის ქალები;

დ) შრომისა და ომის ინვალიდები;

ე) ის პირები, რომლებმაც ავადმყოფობის ან დაშავების გამო დროებით დაჰკარგეს შრომის უნარი, შრომის უნარის აღდგენამდე.

ვ) ორსული ქალები 35 კალენდარული დღით მშობიარობამდე და 28 კალენდარული დღით მშობიარობის შემდეგ; ქალები, რომლებიც ბავშვებს

ძუძუს აწოვებენ, აგრეთვე რომლებსაც ჰყავთ 8 წლის ასაკამდე შვილები, თუ მათი მომვლელი სხვა არავინ არის;

ზ) მუშურ-გლეხური წითელი არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სანაპირო და შინაგან დაცვის ჯარების ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფი პირები, აგრეთვე ის პირები, რომლებიც იხდიან შეკრებებს და წრთვნას წითელი არმიის და ფლოტის ნაწილებში, ამ შეკრებების დროის განმავლობაში, და მათ კმაყოფაზე მყოფი პირები;

ი) სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებათა და საწარმოთა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების მუდმივ სამსახურში მყოფი მუშები და მოსამსახურეები და მათ კმაყოფაზე მყოფი პირები, აგრეთვე სასწავლებელთა მოსწავლეები (გარდა მოკლევადიანი კურსების მოსწავლეებისა);

თ) მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების პრეზიდიუმების წევრები; სასოფლო საბჭოების რწმუნებულნი ცალკეულ სოფლებში; კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეები; სოფლის აღმასრულებლები მათზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების დროის განმავლობაში;

კ) სარეწაო კოოპერატიული არტელებისა და ამხანაგობათა წევრები, რომლებიც მუშაობენ ამ არტელებისა და ამხანაგობათა საერთო სახელოსნოებში ან საწარმოებში, აგრეთვე სამშენებლო, სატრანსპორტო და მიწისმთხრელთა არტელების წევრები იმ პირობით, თუ ყველა ეს არტელი და ამხანაგობა შედის სარეწაო კოოპერაციის სისტემაში და ღებულობს ნორმირებულ ხელფასს.

6. არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთსადაიმავე დროს საგზაო სამუშაოებში ერთიდაიმავე ოჯახის შრომისუნარიან წევრთა ნახევარზე მეტი. ქალის შრომა გამოყენებულ უნდა იქნას უფრო ნაკლებ მძიმე სამუშაოებზე.

7. საგზაო სამუშაოებში არ შეიძლება გამოყენებულ იქნას:

ა) სამი წლისაზე ნაკლები მუშა პირუტყვი;

ბ) დადგენილი წესით რეგისტრირებული ჯიშიანი პირუტყვი;

გ) მუშა პირუტყვი, რომელიც დაავადებულია ისეთი სნეულებით, რაც ხელს უშლის მუშაობას ან რომელიც იზოლირებულ უნდა იქნას სავეტერინარო ზედამხედველობის ორგანოების განკარგულებით;

დ) მუშა-პირუტყვი იმ ადგილებიდან, სადაც გამოცხადებულია სავეტერინარო კარანტინი, კარანტინის დროის განმავლობაში — საკარანტინო ზონის ფარგლებს გადაღმა.

8. საგზაო სამუშაოებში შრომითი მონაწილეობისათვის კოლმეურნეები და ერთპიროვნული მეურნეები შეიძლება მიზიდულ იქნან 15 კილომეტრიანი ზონიდან, ცოცხალი გამწევი ძალა — 30 კილომეტრიანი ზონიდან და სატვირთო ავტომანქანები — 60 კილომეტრიანი ზონიდან სათანადო გზების ორივე მხარეს.

9. გზატკეცილებისა და ყამირ გზების დაყოფას უბნებად, რომლებიც სოფლის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის წესით მათი მომსახურების მხრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმაგრებული იქნებიან ცალკეულ დასახლებულ პუნქტებზე (სოფლები, ქალაქები და დაბები), აწარმოებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების სათანადო აღმასრულებელი კომიტეტების საგზაო განყოფილებები.

10. იმ სამუშაოთა რესპუბლიკურ გეგმას, რომლებიც შესრულებული უნდა იქნას მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით საერთო-საკავშირო რესპუბლიკურ და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე, შეადგენს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველო ადგილობრივი საგზაო ორგანოების მიერ შემუშავებულ სამუშაოთა გეგმების საფუძველზე და დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

შენიშვნა: საგზაო სამუშაოთა მოცულობას განსაზღვრავენ ადგილობრივი საგზაო ორგანოები გამომუშავების იმ ერთიანი ნორმების საფუძველზე, რომლებიც ადგილებს დაეგზავნათ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს მიერ.

11. იმ საგზაო სამუშაოთა წლიური გეგმის დამტკიცების შემდეგ, რომელიც მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით უნდა შესრულდეს, კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებების სათანადო გადაწყვეტილებამდე (მუხ. 4) საგზაო ორგანოები შეიმუშავებენ კოლმეურნეობათა საგზაო სამუშაოების გეგმას (მათს მოცულობას და შესრულების ვადებს) და არაუგვიანეს იმავე წლის 15 თებერვლისა, რომლისთვისაც გეგმა შემუშავებულია, ჩააბარებენ კოლმეურნეობას კოლმეურნეობის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის ხელწერილ ქვეშ.

საგზაო ორგანოს მიერ გადაცემული გეგმა უნდა დაამტკიცოს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ და შეიტანოს იგი კოლეურნეობის საწარმოო გეგმაში, რის შემდეგ და არაუგვიანეს 28 თებერვლისა კოლმეურნეობის გამგეობა წერილობით აცნობებს საგზაო ორგანოს, რომ საგზაო სამუშაოთა გეგმა შეტანილია კოლმეურნეობის საწარმოო გეგმაში (ამასთან აღნიშნავს სამუშაოთა მოცულობას და საერთო კრების მიერ გეგმის დამტკიცების თარიღს).

საგზაო ორგანოსა და კოლმეურნეობის გამგეობას შორის წამოჭრილ უთანხმოებას გადასჭრიან მშრომელთა დეპუტატების სათანადო რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

შენიშვნა: საგზაო სამუშაოების შესასრულებლად საგზაო ორგანოები, კოლმეურნეობის გამგეობასთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ, აძლევენ კოლმეურნეობას განრიგს საგზაო სამუშაოების შესახებ.

12. საგზაო სამუშაოებში შრომითი მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის კოლმეურნეებს, ერთპიროვნულ მეურნეებსა და კოლმეურნეობებს გადახდებათ ფულადი შესატანი — მათ მიერ შეუსრულებელ სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ორმაგი რაოდენობით.

ეს ფულადი შენატანები კოლმეურნეებს, ერთპიროვნულ მეურნეებსა და კოლმეურნეობებს გადახდებათ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს სათანადო საგზაო ორგანოების განკარგულებით, აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებულ საგზაო სამმართველოების და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტების საგზაო განყოფილების განკარგულებით; ამასთან კოლმეურნეებს, ერთპიროვნულ მეურნეებსა და კოლმეურნეობებს ეძლევათ 10 დღის ვადა ფულის ნებაყოფლობით გადასახდელად. თუ ფულადი შენატანი არ იქნა გადახდილი აღნიშნული ვადის განმავლობაში, ადგილობრივი საგზაო ორგანოები ფულად შენატანს გადაახდევინებენ სახალხო სასამართლოს მეშვეობით.

შემოსული შენატანების თანხები იხარჯება მხოლოდ გზების მშენებლობისა და რემონტის გასაუმჯობესებლად სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის ან რაიონის ფარგლებში.

13. სოფლის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით საგზაო სამუშაოთა ჩასატარებლად რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში აუცილებლად ყოველწლიურად გამოიყოფა სახსრები მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების არანაკლებ 10%-ის რაოდენობით საშენი მასალების, მოწყობილობის შესაძენად, ტექნიკური პერსონალის შესანახად და საორგანიზაციო მასობრივ ღონისძიებათა ჩასატარებლად.

14. გაუქმებულ იქნას:

ა) მოქმედება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შრომითი საგზაო ბეგარის დებულებისა, რომელიც დამტკიცებულია ა/კ. სფსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ 1930 წლის 3 ივლისს (ა/კ. სფსრ კან. კრ. 1930 წ. № 13, მუხ. 148; 1931 წ. № 2, მუხ. 16 და 17; 1932 წ. № 8, მუხ. 57; 1933 წ. № 20—21, მუხ. 169; საქ. სსრ დადგ. კრებ. 1939 წ. № 2, მუხ. 5) და ინსტრუქციისა ამ დებულების გამოყენების შესახებ (ა/კ. სფსრ კან. კრ. 1939 წ. № 16, მუხ. 281);

ბ) საქ. სსრ ცაკის და სახკომსაბჭოს 1930 წლის 30 აგვისტოს დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შრომითი საგზაო ბეგარის გატარების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. № 16, მუხ. 256; 1931 წ. № 24, მუხ. 259; 1932 წ. № 18, მუხ. 109; 1933 წ. № 1, მუხ. 22; № 2, მუხ. 43; № 17, მუხ. 240; საქ. სსრ დადგ. კრებ. 1939 წ. № 2, მუხ. 6).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. მარტის 26, № 504.
თბილისი.

მარქსის სახ. საქ. ... ბიბლიოთეკა

Ф 11053
ეროვნული ბიბლიოთეკა

Собр. постанов.
и распоряж. прав.
груз. ССР.
(груз. NB)
Зок.
D.572/300

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის

ფასი 40 კაპ.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს გამომცემლობის სტამბა „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებულის № ბ—1663 შეკ. № 545 ტირაჟი 2000